852 №11905

სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 13 აგვისტო 1994 № 42 (117) ფასი 90 000 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДИНАМО — УНИВЕРСИТАТИА 2:0

მატჩის რეპორტაჟს მეორე-მესამე გვერდებზე იხილავთ

1986 წელს საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დამოყვრების აღსანიშნავად კეთილი ნების თამაშებად წოდებული გრანდიოზული სპორტული ნადიმი გადაიხადეს, მსოფლიოს სპორტული ელიტა მოსკოვში მიიპატიჟეს და მაშინვე დათქვეს, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ერთმანეთისთვის ერთგულება დამტკიცებინათ.

სულ სხვა იტყვის ჰარიჰარალეს!

ზაფხულის ოლიმპიადებს შორის გამორჩხირული თამაშები უკვე მესამედ გაიმართა და ერთი გარემოება რომ არა, იქნებ სულაც არ ჩაგვეთვალა საყურადღებოდ: სამი ჩვენიანი ჩემპიონი გახდა — მძიმეწონოსანმა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ზაზა ბურმანიძემ უკან თვით გობეჯიშვილის მძლეველი ამერიკელი ბაუმგარტნერი მოიტოვა, ორმა „გარუსებულმა“ ქართველმა, პაატა გვასალიამ და რამაზ ფალიანმა კი სამსამი მოკრივე გალახა — მათი მუშტები კუბელებმაც კი ვერ ააცილეს.

გვასალიას ერთ-ერთი ბრძოლის ტელეეკრანზე შემყურე ქართველები ამაოდ ველოდით, რუსი კომენტატორი რომ არ დაგვიმადლიდა და მოკრივის ქართულ წარმომავლობას გაიხსენებდა, — ახი კი იყო, ეთქვა — კი ბატონო, თქვენი იყო, ვერ მოუარეთ, ახლა ჩვენიაო.

ქართველის გარუსებას თუ გათურქებას, თუნდაც გაფრანგება იყოს, ცხადია ვერ მოვიწონებთ, მაგრამ ვერც ვერავის განვიკითხავთ — ამ საქმეში ყველაზე ნაკლები ბრალი ხომ სპორტსმენს მიუძღვის: თუ ვინმე ჟურნალიტს, ან ინჟინერს შეიძლება დაუყვავო, ცოტაც გაიჭირვე, მოითმინე და ხუთიოდ წელიწადში კარგი ცხოვრება გვექნებაო, ეგ შენი მოკრივე ხუთი წლის შემდეგ პენსიონერი იქნება, ძალა კი დღეს ერჩის, მაგრამ სავარჯიშოდ არც პირობები აქვს, არც სახსარი და ცდუნებას ვერ უძლებს. არადა, თავის დროზე, გვასალია და ფალიანი მოსკოვს რომ გადასახლდნენ, გადამბირებლებმა ჯამაგირად 200-200 ათასი მანეთი დაუნიშნეს — მაშინდელი კუსით სულ რაღაც 140-150 დოლარი — რამდენიმე კაცი ყოველ ჩვენთაგანს ეცოდინება, ამ ფასად ყოველდღე სადმე „მეტეხში“ რომ საუზმობს. ჰოდა, ტვინის განძრევა და ხელის გამოღებაა საჭირო, 150 დოლარად კაცს სამშობლოდან გადასახვეწად რომ არ გაუხადოთ საქმე.

არც ისეა, ჩვენი სპორტის ერთ-ერთ თავკაცს რომ უთქვამს — ნაივიდეს, ვინც წასასვლელია, არაკაცი თავის ბუნებას ბოლოსდაბოლოს გამოავლენსო — ფალიანი და გვასალია არაკაცები არ არიან, 20-21 წლის ბიჭებია, რომელიც მაინცდამაინც არც დიდი ჭკუა მოეკითხებათ — ფიქრობენ, სამუდამოდ ხომ არ მივდივართ, ორიოდ წელში წელს მოვიმაგრებთ და დავბრუნდებით, გარუსება რა სათქმელიაო. აკი იმასაც ამბობენ, ცნობილ კაკაურიძე-ყულოღლუს რინგზე გასვლისას მაჯისსიმსხო ჯვარი ჰკიდია — ემანდ მართლა თურქი არავის ვეგონოო. არადა, თუ კარგი ცხოვრება გაუტკბათ, შეიძლება აღარც დაბრუნდნენ, ან თუ მაინც მოინდომეს, აღარ დააბრუნონ — ეგ უკვე სპორტის ამა თუ იმ სახეობის კანონთა ლმობიერება-სიმკაცრეზე ჰკიდია.

ქართული სპორტის საქმე კი უკან მიდის. შარშან თუ შვიდი ევროპის ჩემპიონი გვყავდა, წლეულს — ჯერჯერობით არცერთი. მსოფლიო რანგის შეჯიბრი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ერთადერთხელ, 1992 წელს მოვიგეთ — ჩვენმა მოჭადრაკე ქალებმა ოლიმპიადაზე გაიმარჯვეს. „ნაქართველარებიც“ დღითიდღე გვიმრავლდებიან: კოლუაშვილი, ხაბელოვი, კაკაურიძე, ზოზიროვი, ფალიანი, გვასალია, ბარავი... ნელს ისიც მოხდა, რომ ხახალეიშვილმა და ვაზაგაშვილმა ევროპის ჩემპიონატზე ჭიდაობა არ მოისურვეს. ასე თუ გაგრძელდა, მალე აღარც ის გახდება გასაკვირი, რომ ერთ მშვენიერ დღეს გამოგვიცხადონ — ქართულ სპორტს დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია, ხომ გახსოვთ, რუსებთან ერთად რომ ვვარჯიშობდით, ქვეყანას ვაზანზარებდითო და თუნდაც უახლოეს, ატლანტის ოლიმპიადაზე კვლავ რომელიმე გაერთიანებულ გუნდში შეგვლალონ, ამით კი დამოუკიდებლობის კიდევ ერთი, „სარბიელის“ აზრით უმძლავრესი ატრიბუტი გამოგვაცალონ: საზღვარი და მესაზღვრე ხომ არა გვყავს და კაცმა არ იცის, როდის გვეყოლება, ფული გვქონდა და აღარ გვაქვს, სპორტსმენი აღარ დაგვრჩება და ცარიელა გაეროს ნევრობას რაღა თავში ვიხლით.

სპორტი დამოუკიდებლობის უმთავრესი ატრიბუტიაო, რომ ვთქვით, ამის დასტურად უბრალო მაგალითსაც მოვიყვანთ. ჩვენს ერთ კოლეგას ბავშვობაში გეოგრაფია ჰყვარებია და ბავშვის კვალობაზე კარგადაც სცოდნია. ერთხელ, რუკაზე მოგზაურობისას შოტლანდია ვერ მოუძებნია, ევროპის ქვეყანათა ჩამონათვალშიც ვერ უნახავს და გაოცებულა — თუ ქვეყანა არაა, ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე რა უფლებით ათამაშებენო. ეგრეა, შოტლანდიის არსებობა უმრავლესობამ ფეხბურთის წყალობით იცის — ბერნსისა თუ ვოლტერ სკოტის შოტლანდიელობა ცოტას გაახსენდება, რუსთაველისა თუ ვაჟა-ფშაველას ქართველობა — უფრო ნაკლებს და ჩვენი წარმომავლობის უცხოელისთვის განმარტებისას იქნებ არც სტალინ-შევარდნაძის სახელებმა გაჭრან.

სწორედ ფალიან-გვასალიებს შეუძლიათ მსოფლიოსათვის დროდადრო საქართველოს სახელის შეხსენება და თუ ოთარ იოსელიანი საფრანგეთში ფილმს გადაიღებს, ან რობერტ სტურუა სპექტაკლს სადმე ლონდონში დადგამს, ქართველობას არავინ ჩამოართმევთ: სპექტაკლისა თუ ფილმის შემდეგ საფრანგეთისა თუ ბრიტანეთის პიმნებს არ დაუკრავენ, მაგრამ როცა გვასალიასა თუ კაკაურიძეს მედალს ჩამოკიდებენ და მათ პატივსაცემად რუსეთისა თუ თურქეთის დროშებს აღმართავენ, სიხარულით სულ სხვას გაუხარდება, ჩვენ კი სიმწრის ცრემლებს კიდევ ერთხელ ჩავიბრუნებთ უკან.

მამუკა ჩიხლაძე

P.S. წერილი უკვე მზად იყო, რომ სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებამაც მოგვისწრო, სადაც სწორედ ზემოთთქმული პრობლემის მოსაგვარებელ ღონისძიებებზეა საუბარი. თუ საქმეს ბრძანებულებამ უშველა, ბარაქალა მეთაურს!

ᲩᲕᲐᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲝᲥᲕᲡᲔ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲯᲣᲠᲨᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲔᲜ:

ᲩᲕᲐᲚ: ᲓᲘᲜᲐᲛᲝ — ᲓᲣᲠᲣᲯᲘ, ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ 1913 — ᲙᲐᲮᲔᲗᲘ, ᲯᲝᲠᲙᲐᲔᲚᲝ — ᲡᲐᲛᲒᲣᲠᲐᲚᲘ, ᲡᲐᲛᲯᲠᲔᲓᲘᲐ — ᲡᲐᲠᲝᲕᲜᲔᲚᲐ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ, ᲒᲣᲠᲘᲐ — ᲘᲕᲔᲠᲘᲐ, ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲗᲘ — ᲓᲘᲚᲐ

ᲖᲔᲒ: ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ 1906 — ᲛᲔᲯᲐᲚᲣᲠᲒᲘ

არგენტინის ნაკრების ყოფილი კაპიტანი დანიელ პასარელა გუშინწინ გუნდში მთავარ მწვრთნელად დაბრუნდ

რედაქციისგან: ბოლო „სარბიელში“, 2 აგვისტოს გამოვალთო, შეგპირდით. სასტამბო ხათაბალამ მცირე შესვენება იხე გაგვიჭანჭლა, დღესლა გამოვდივართ. თუმცა, თუ ბოლო ნომრის ნიშნად საქართველო — მალტის ფეხბურთელთა ნაკრების მატჩს მივიჩნევთ, გასახარი რომ კერ ფერი დაგვაწერინა, დღევანდელი, თბილისის „დინამოს“ წყალობით, ბევრად ხალისიანია. ეგაა, ერთი კარგი მასალა გაგვიყვა ძალად უქმეებს.

ᲙᲝᲚᲛᲔᲠᲝᲒᲘ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ

„ლინფილდის“ გახმაურებული მატჩის შემდეგ ნაკლებ ინტერესი გაჩნდა და საქართველოს ჩემპიონის ხელახალი ევროპული დებიუტის დროს დიდი, ოღონდ, ამჯერად უეფას ფასზე ჩვენი გუნდის შემადგენლობა და [illegible] ადგილზე განლაგება შარშანდლის ანალოგიური იყო, რამაც ბუნებრივია, „დინამო“ — „ლინფილდის“ თამაშ[illegible] ერთი პარალელის გავლების სურვილი აღ[illegible]ვიძრა.

მაყურებლით დავიწყოთ. სტადიონი წელებსაც არ [illegible]ულა — ის კი არა, შარშანდლელზე [illegible] ხალხი მოვიდა, რაც [illegible] ინტერესის განცხადებად [illegible]ნ[illegible]ლ[illegible]ა. „უეფამ კატეგორიულად [illegible]ა, ბილეთის ფასი [illegible] ოვეცარულ ვრანკზე ნაკლები არ [illegible]ა“ — „უცხოელთა რეკომენდაციები რატომღაც მხოლოდ მაშინ გვახსენდება, თუ გამორჩენა გვიჭირდის, თორემ ჩვენი სტადიონის ბევრი რამ არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, [illegible] — განათება, მაგრამ ხომ [illegible] — ჩვენი გაჭირვება ალ[illegible] შიც კარგად მოეხსენებათ და არა[illegible], მაინცდამაინც ვირზე შემხდარ[illegible] — 2000 მანეთზე ქვემოთ ფეხი ა[illegible] ცადია, ბილეთის ფასი [illegible] ნა კლუბისა და სტადიონის უფ[illegible]ობის საქმეა და სარგებელზე ზრუნვისთვისაც ვერავის გავამტყუნებთ, მაგრამ თავად განსაჯეთ: ორმაგიოდე ათასი მაყურებლიდან ბილეთი 17 ათასს აუღია და იაფობისას შემოსავალი იქნებ მეტიც ყოფილიყო.

ფინანსურ საკითხებზე მსჯელობაში ბევრი, შესაძლოა, არ დაგვეთანხმოს, მაგრამ „ლინფილდის“ ძალა „უნივერსიტატიასთან“ მოსატანიც რომ არ ყოფილა, ამაზე კვერს უთუოდ ყველა დაგვიკრავს. რუმინელები დაცვაში საკმაოდ განსწავლულნი ყოფილან, ოლსტერელთაგან განსხვავებით, ბურთის უმისოდ [illegible] მოკერიებით არ იყვნენ გართულნი. შეტევაში საკმაოდ მწყობრად გადა[illegible]დნენ, ხუთიოდე მწვავე კონტრშეტევა[illegible]ბორციელეს და ჩვენი დაცვის ძლიერ[illegible]აც თვალნათლივ დაგვანახვეს: შელიასა და ნემსაძეს წელს ლობჟანიძემაც დუმშვენა მხარი და ორი ეპიზოდის გარდა ამ სამეულმა უშეცდომოდ ითამაშა — პირველად, საჯარიმოს მოწოდებასა შელიას გულმა მეტოქის „კარისკენ გაუწია და ინალიშვილმა მისი დაზღვევა ვერ ოცასწრო, რაც ლობჟანიძეს

რეზო არველაძემ რუმინელებს მრავალი თავსატეხი გაუჩინა

ყვითელ ბარათად დაუჯდა, მერე კი ნემსაძემ კალინის მუჯლუგუნს ვერაფერი მოუხერხა და მეტოქე მეკარესთან პირისპირ გაექცა.

დაცვის მიხედვა ინალიშვილს ჰქონდა დავალებული. გელამ შარშან გადამწყვეტი გოლების გატანით გაითქვა სახელი და ჩვენულ ამპლუაში დაბრუნებული ერთიორჯერ დაიბნა, მაგრამ ჯერჯერობით დაცვის უსაფრთხოებისთვის ოთხმა კაცმაც იკმარა, თანაც ისე, რომ ზოიძე თითქმის არ შეწუხებულა, [illegible]ის ბოლოს კი, როცა მონაპოვრის [illegible]ნება იყო მთავარი, მათ ცქიტიშ[illegible] კარგად მიეხმარა და ორმაგად გაგვახარა: რა დასამალია და, „დინამომ“ სეზონის წინ რამდენიმე ფეხბურთელი უცხოეთის კლუბებში გაისტუმრა — ბერაძე, ჩიქოვანი, ტყებუჩავა, ქველაძე, კიკნაძე, ნეფარიძე — სანაცვლოდ მხოლოდ ერთი, ქუთაისელი მცველი დიდავა მიიღო და ახალგაზრდებს აწი ხშირად მოუწევთ პრინციპულ თამაშებში მონაწილეობა, გამოცდილების მიღება კი აქედანვეა საჭირო.

მთელი მატჩის მანძილზე „დინამოს“ თამაშმა სულ ორჯერ აღგვიძრა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და ისიც — მცირე ხნით. ჯერ — პირველი ტაიმის მიწურულს, როცა რუმინელთა ორი კონტრშეტევის შემდეგ ბურთის დაჭერისა და დამშვიდების ნაცვლად მეტოქეს აყვნენ და ზეაზარტული თამაში გაარღვეს, მერე კი — მეორე ტაიმის დასაწყისში, რუმინელთა მწვრთნელმა თავისი მარჯვენა ფლანგი რომ გააძლიერა. ყველაშვილი, რომელსაც მოსამზადებელი პერიოდის დიდი ნაწილი გაუცდა, მოზღვავებულ საქმეს ვეღარ აუვიდა და „უნივერსიტატიაც“ დაუბრკოლებლივ აღწევდა ჩვენს ნახევარამდე. ბედად, აქ პენალტმა და მეორე გოლმა მოგვისწრო და ნოდიაც ძალე მიუხვდა კოლეგას ხრიკს — მოედანზე რევიშვილის გამოყვანა არ დააყოვნა.

დანარჩენ დროში „დინამო“ უტევდა. გაცილებით უფრო მწყობრადა და გონივრულად, ვიდრე შარშან — შეტევის აქცენტის დროული მონაცვლეობით ცენტრიდან ფლანგებისკენ და თუ მარჯვენა ფრთა ამჯერადაც უფრო მეტად დაიტვირთა, სავსებით ბუნებრივია — რეზო არველაძე ისე კარგად თამაშობდა, ცოდვა იყო მისი უბურთოდ მოკდენა.

არანკლებ ძლიერად ითამაშა ქინქლაძემ — ამკარად გაზრდილა „ზაარბრიუკენში“ — სისწრაფე და დრიბლინგი ხომ არ დაუკარგავს, რაც მთავარია, პასებსაც ზუსტად და დროულად ანწილებდა და თანაგუნდელებისგან იმითაც გამოირჩეოდა, რომ როცა მეტოქე საჯარიმოში ჩაიკეტებოდა, შორეულ დარტყმებსაც არ აკლებდა იმათ მეკარეს.

ნურც ის შეგვაშინებს, ათიოდე საგოლე მომენტიდან მხოლოდ ორი რომ გამოიყენეთ. აბა სად გაგონილა, ათიდან რვა გოლი გადიოდეს. ტრავმირებულმა შოთა არველაძემ ხომ ორივე საკონტროლო მატჩი გამოტოვა გერმანიაში, დანარჩენებიც ნელ-ნელა შევლენ ფორმაში და ჩვენი რუმინელი კოლეგების დანაქადი — ბედმა გაგიღიმათ, ჩვენმა უპირველესმა ბომბარდირმა კრაიოვიანუმ რომ ვერ ითამაშა, მისიანად „უნივერსიტატია“ სულ სხვა გუნდიაო — დიდი იმედი გვაქვს, ქადილადვე დარჩება.

მამუკა ჩიხლაძე



უეფას თასი

წინასწარი ეტაპი. პირველი მატჩი

თბილისი, ეროვნული სტადიონი. 9 აგვისტო

„დინამო“ თბილისი — „უნივერსიტატია“ კრაიოვა 2:0

1. ზოიძე
4. შელია
2. ნემსაძე 3. ლობჟანიძე
5. ინალიშვილი
9. რ. არველაძე 8. ჯამარაული 10. ქინქლაძე 6. ყაველაშვილი
11. შ. არველაძე 7. ა. არველაძე

9. კალინი 10. სტინგა
7. მიტრიცა 6. პაპურა 11. ვასკი
8. პრუდოი
3. კოჟოკარუ 5. სანდოი 2. მოგოშანუ
4. ზამფირი
1. არკანუ

შეცვლები: 46-ე წთ. მიტრიცა — 17. განე
55-ე წთ. კალინი — 16. უნგური
64-ე წთ. ყაველაშვილი — 12. რევიშვილი
79-ე წთ. ა. არველაძე — 14. ცქიტიშვილი

1:0 ქინქლაძე (27)
2:0 შ. არველაძე (59 პ)

გაფრთხილება: ლობჟანიძე (35)

მსაჯები: ეშბი, უორენი, ლიკი (ინგლისი)

კუთხური 7:3 (4:0); ჯარიმა 10:13, თამაშგარე 7:0 (4:0), კარში დარტყმა 24:13 (18:5)

	ჯარიმა		კარში დარტყმა						
	+	–	სულ	საჯ. გარ.	საჯ. შიგნ.	აცდა	მეკარე	ძელი	გოლი
1 ზოიძე	—	—	—	—	—	—	—	—	—
2 ნემსაძე	1	2	—	—	—	—	—	—	—
3 ლობჟანიძე	1	4	—	—	—	—	—	—	—
4 შელია	4	—	—	—	—	—	—	—	—
5 ინალიშვილი	1	1	2	1	1	1	1	—	—
6 ყაველაშვილი (კაპ)	—	—	3	—	3	2	1	—	—
7 ა. არველაძე	2	2	1	—	1	—	1	—	—
8 ჯამარაული	3	—	1	1	—	—	1	—	—
9 რ. არველაძე	—	—	3	1	2	3	—	—	—
10 ქინქლაძე	1	—	6	6	—	2	3	—	1
11 შ.არველაძე	—	—	8	—	8	5	2	—	1
12 რევიშვილი	—	—	—	—	—	—	—	—	—
14 ცქიტიშვილი	—	1	1	—	1	—	1	—	—
სულ	13	10	24	9	15	13	10	—	2

	ჯარიმა		კარში დარტყმა						
	+	–	სულ	საჯ. გარ.	საჯ. შიგნ.	აცდა	მეკარე	ძელი	გოლი
1 არკანუ	—	—	—	—	—	—	—	—	—
2 მოგოშანუ	—	—	—	—	—	—	—	—	—
3 კოჟოკარუ	—	2	—	—	—	—	—	—	—
4 ზამფირი (კაპ)	—	—	—	—	—	—	—	—	—
5 სანდოი	—	—	1	1	—	1	—	—	—
6 პაპურა	—	2	2	2	—	2	—	—	—
7 მიტრიცა	1	—	—	—	—	—	—	—	—
8 პრუდოი	—	—	1	1	—	1	—	—	—
9 კალინი	2	2	2	1	1	1	1	—	—
10 სტინგა	1	3	4	3	1	4	—	—	—
11 ვასკი	3	1	1	1	—	—	1	—	—
17 განე	—	2	2	—	2	2	—	—	—
14 უნგური	3	1	—	—	—	—	—	—	—
სულ	10	13	13	9	4	11	2	—	—

ტრავმირებულმა მურთაზ შელიამ თამაში მაინც ჩაათავა—

პენალტი რუმინელთა კარში გოჩა ჯამარულის წაქცევისთვის დაინიშნა—

გია ახალაძის ფოტოები

უწესო რაგბი ხვატში

ამ შემოდგომით საქართველოს ნაკრები ახალ შეჯიბრებაში ჩაებმება. უკრაინის რაგბის ფედერაციის წინადადებით წელს პირველად ეწყობა შავი ზღვის მონაპირე ქვეყნების თასის გათამაშება.

შეჯიბრებაში, რომელიც ოდესაში გაიმართება 20-25 სექტემბერს, ჩვენებისა და მასპინძელთა გარდა ითამაშებენ რუსეთი, მოლდოვა და ბულგარეთი. რუმინეთმა, ვინაც მსოფლიო თასის დასკვნითს სტადიაზე გააღწია, მოუცლელობა მოიმიზეზა. უფრო სარწმუნო იქნება, თუ შევნიშნავთ, რომ „კარპატელმა მუხებმა“ უბრალოდ წაიმედიდურეს და ალბათ კარგა ხანიც გაივლის, სანამ ეგენი სხვა შავი ზღვისკიდელებს თავს გაუყადრებენ.

ამ ახალ წამოწყებაში და კიდევ ᲨᲘᲠᲐ-ს ყოველწლიურ პირველობაში მონაწილეობის გამო საქართველოს პირველობის უფროსი, პირველი ჯგუფის შეჯიბრების დასრულება ოქტომბრის შუაწელისთვისაა დაგეგმილი. თვის ბოლოსვე დამთავრდება უმცროსი, მეორე ჯგუფის ტურნირიც, რომელიც, ისევე როგორც პირველისა, ივნისის მიწურულს საზაფხულო არდადეგების გამო შეწყდა.

ამერის გუნდების მეტმა წილმა დასვენება არ ისურვა და საკუთარი შეჯიბრების მოწყობა განიზრახა, აქაო და შემოდგომამდე უქმობით შემადგენლობები დაგვეფანტაო. თუკი საქმე ასე იყო, უპრიანი იქნებოდა ამერის პირველობის გამართვა, მაგრამ გუნდები პრინციპულად წინააღმდეგი იყვნენ, მათი თაოსნობით მოწყობილ ტურნირს რაგინდარა პირველობა რომ დარქმეოდა. ამიტომ იყო, ტურნირი თავიდანვე ეგზოტიკურ ყაიდაზე — „მკათათვის (ივლისის) პაპანაქებად“ რომ მოინათლა.

ამ შეჯიბრების ორგანიზაციის ინტელექტუალური და კომპიუტერული უზრუნველყოფაც „სარბიელმა“ იკისრა, მაგრამ ფარატინა ქაღალდი გამოდგა ჩვენს მიერ შნოიანად დაბეჭდილი დებულება და თამაშთა განრიგი, რომლებიც მონაწილეებმა თავის გემოზე არაერთხელ ხელყვეს და გადაკეთ-გადმოკეთეს. გარდა ამისა, მალე გაირკვა, რომ ქვეყნის ჩემპიონი რუსთავის „ᲐᲮᲝᲢᲘ“ შეჯიბრში ვერ იმონაწილეებდა, რის გამოც გუნდების ხელმძღვანელებს საბუთები რომ არ არეოდათ, ახალ ტურნირს „მკათათვის ხვატი“ ეწოდა.

თამაშთა უმეტესობა მართლაც ხვატში ჩატარდა, გაუგებრობა კი საბუთთა წესრიგიანობის მიუხედავად მაინც მრავლად მოხდა, რაც სულაც არაა გასაკვირი, რაკიღა მავანმა მწვრთნელმა ისიც კი ბრძანა, თამაშის დროს რაგბის კარის აღმართვა რა აუცილებელია — მთავარია, მოედანი იყოს დახაზული (?!)

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საქართველოს პირველობის თამაშებისაგან განსხვავებით გუნდებმა ვერც მოედანი დახაზვისეს. მსაჯები ხომ საძებარნი შეიქნენ. ხშირი იყო სასტვენის მოკითხვა თამაშზე დამსწრეთა შორის. ორი მატჩი საერთოდ ვერ გაიმართა: პირველად გუნდები ჯერ შეიკრიბნენ, მეორედ კი სათამაშოდ სხვადასხვა დღეს გამოცხადდნენ. ერთი თამაშის შედეგი უცნობი დარჩა, რაკიღა მოხალისე მსაჯს ანგარიში არ დაუთვლია, სხვადასხვა მოწმეთა მტკიცებანი კი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება და, როგორც წესი, ასეთი ტიპისაა: „ამათ მგონი ოთხი ლელო გაიტანეს, იმათ კი შვიდიო“.

ორი გუნდი — „თბილისი“ და „ყოჩები“ „მკათათვის ხვატს“ ხერხიოზულად მოეკიდა და სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდაც ლიდერობდა. „თბილისმა“ პირდაპირ გაანადგურა ჯერ „ლელო“ 77:3, მერე კი ამერის ჭაბუკთა ნაკრები 80:6, მაგრამ იმის გამო, რომ გაუმართავ თამაშებში დებულების მიხედვით წაგება-მოგების მისჯა-მინაჭება მონაწილეებს ღიმილის მეტს ვერაფერს მოგვრის, საბოლოო ცხრილის შედგენას საბოლოოდ დაკარგა აზრი.

მიუხედავად ამისა, ბოლო დღეს ერთობ პრინციპული თამაში გაიმართა. „მერკური“ ეთამაშა „თბილისს“, ვისაც მასთან ჩემპიონატში 9:8 გაემარჯვა, „სამაისო ათკაცს“ ფინალში კი 14:5.

თამაშის წინაცა და შემდეგაც იწვიმა. „მერკურს“ დერეფნის ორი სპეციალისტი — ნადირაძე და პარწკანაშვილი საოსანგეთს მიუწვენია სტაჟირებაზე.

თამაში საამოდ საცქერი გამოვიდა იმის და მიუხედავად, რომ „მერკურს“ ექვსი დარტყმა გაუცუდდა, „თბილისს“ — შვიდი, კიდევ ექვსჯერ კი წაგებულებმა კარში დასარტყმელი საჯარიმოები გაათამაშეს. „მერკური“ ერთი პირობა 18:3 იგებდა და არანაკლებ 13-ქულიანი სხვაობა ბოლომდე რომ შეენარჩუნებინა, „თბილისთან“ და „ყოჩებთან“ შეჯიბრში პირველიც იქნებოდა, მაგრამ თამაშის დროს ეს არავინ უწყოდა, რაკიღა გამოთვლები თამაშის შემდეგა ჩატარდა. მათ შედეგად გაირკვა, რომ „ხვატში“ გუმარჯვნია „თბილისს“ (+9); მეორე ადგილზე გასულა „მერკური“ (--2), მესამეზე კი — „ყოჩები“ (--7).

თუმცა ეს სულაც არ ყოფილა მთავარი, ვინაიდან კლუბებმა თავისი ჭია გაახარეს და ითამაშეს ის სამეგობრო ანუ უწესო რაგბი, რომლის თამაშსაც კავშირის არამკითხე მოხელეები სხვაფრივ არ ანებებენ!

ᲖᲐᲐᲚ ᲒᲘᲑᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

		Თ	Მ	Ფ	Ნ	—	Ბ	Ლ	Ძ
აია		6	5	0	1	-	124: 58	14	10
თბილისი		6	5	0	1	-	139: 54	19	10
აზოტი		6	4	0	2	-	284: 80	44	8
მერკური		6	4	0	2	1	156: 62	21	7
ყოჩები		6	2	0	4	-	107:195	12	4
ლელო		6	1	0	5	-	91:148	13	2
შევარდენი		6	0	0	6	1	37:341	3	-1

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ

		Ლ	Გ	Ს	Ა	Ძ
ლეჟავა	აზოტი	1	22	4	-	61
ლ. ბერიშვილი	აზოტი	10	-	-	-	50
მოდებაძე	მერკური	1	7	5	3	43
ჯიმშელაძე	აზოტი	6	3	-	-	36
ჩიქვინიძე	აზოტი	6	-	-	-	30
ტეფნაძე	ყოჩები	-	6	6	-	30
ქავთარაძე	ლელო	2	5	2	-	26
ჩუბინიძე	აია	1	6	2	-	23
ობოლაძე	თბილისი	4	1	-	-	22
ბითაძე	შევარდენი	1	1	5	-	22
ქავთარაშვილი	თბილ.	3	-	2	-	21

მონინავე ოთხეულის თამაშებში:

ლეჟავა	აზოტი	-	4	3	- 17
მაჩიტიძე *	აია	-	-	2	3 15
მოდებაძე	მერკური	-	1	3	1 14
ქავთარაშვილი	თბილ.	1	-	2	- 11

* გადავიდა ლიგის რაგბში, რისთვისაც დისკვალიფიკაცია მიეცა

ᲛᲔᲚᲔᲚᲘᲜᲘᲨᲜᲘ

ლ. ბერიშვილი	აზოტი	10
ჩიქვინიძე	აზოტი	6
ჯიმშელაძე	აზოტი	6
ობოლაძე	თბილისი	4
ხურციძე	ლელო	4
მგელაძე	მერკური	3
ფხაკაძე	აია	3
ტყეშელაშვილი	მერკური	3
გოგიშვილი	აზოტი	3
ხაჩიძე	მერკური	3
ქავთარაშვილი	თბილისი	3

მონინავე ოთხეულის თამაშებში:

ლ. ბერიშვილი	აზოტი	2
ტყეშელაშვილი	მერკური	2

ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲔᲑᲘ

მოდებაძე	მერკური	3
გეგელაშვილი	თბილისი	1
ნ. ძაგნიძე	აია	1
მარტიროსიშვილი	თბილისი	1
ტყაილაძე	აია	1

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ

14.VI: დელფინები (ბათუმი) 9 (9) (3ს) — ხაშური 6 (3) (2ს)

25.VI: დინამო 22 (4ლ, გ) — თბილისი II 0. 26.VI: დელფინები 16 (ლ, გ, 3ს) — რაში 3 (ა)

1.VII: ქორები 31 (5ლ, 3გ) — დინამო 0; აიეტი (ქუთაისი) 9 (0) (3ს) — უნივერსიტეტი 6 (6) (ს, ა)

7.VII: თბილისი II 5 — აიეტი 33 (4ლ, 2გ, 3ს)

	Თ	Მ	Ფ	Ნ	Ბ	Ლ	Ძ
ქორები	7	7	0	0	294: 15	47	14
აიეტი (ქუთ)	7	5	1	1	171: 52	20	11
დინამო	6	4	1	1	95: 72	14	9
უნივერსიტეტი	6	3	0	3	116: 49	13	6
თბილისი II	6	2	0	4	28:127	4	4
დელფინები	6	2	0	4	47:230	2	4
ხაშური	5	1	0	4	24:119	2	2
რაში	7	0	0	7	31:142	4	0

არ გამართულა: ხაშური — დინამო (4.VI), უნივერსიტეტი — ხაშური (26.VI) და თბილისი II — დელფინები (2.VII)

ᲛᲙᲐᲗᲐᲗᲘᲗᲘᲡ ᲮᲕᲐᲢᲘ

15.VII: ᲧᲝᲩᲔᲑᲘ 19 — ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ 10

19.VII: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 19 (12) (3ლ: იოვაძე (30), ალანია (36), ჩხენკელი (65); 2გ: გეგელაშვილი (36, 65)) — ᲧᲝᲩᲔᲑᲘ 3 (3) (ს: ტეფნაძე (18)). მსაჯი გორა აბაშიძე (40 + 42)

კვირა, 24.VII. ვაკე

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ 18 (15) — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 11 (3)

მერკური: ხაჩიძე; დვალი, ჯანელიძე, ჩაჩუა, სორდია; ძნელაძე, დევნოზაშვილი; ჩიქავა, გურ. აბაშიძე, თურქაძე; სულთანიშვილი (კვანტალიანი, 42), მჭედლიშვილი; ტყეშელაშვილი, ზოიძე, დიდებულიძე. — 3ლ: დვალი (9), სორდია (23), აბაშიძე (27); ს: ტყეშელაშვილი (49)

თბილისი: წულაძე; ქერაშვილი (ბუგანიშვილი, 42), ჩხენკელი (ქავთარაშვილი, 42), ალანია, სიხარულიძე; გეგელაშვილი, იოვაძე; ცქიტიშვილი (დგებუაძე, 44), ჩიქოვანი (რობიტაშვილი, 42), მაჭუტაძე; კახიანი, აბელოვი; კაცაძე (გოქსაძე, 46), კობახიძე, ღიბრაძე. — 3ლ: აბელოვი (53); 2ს: გეგელაშვილი (13, 87)

მსაჯი ლევან მგელაძე (41 + 46)

ᲑᲘᲣᲚᲔᲢᲘᲡ ᲯᲐᲓᲝ

თანდათან ეშხში შედის მძლეოსნური სეზონი, რომლის კულმინაციაც უდაოდ ამ თვეში გასამართი პელსინკის ევროპის პირველობა იქნება.

უკვე გაიმართა „ოქროს ოთხეულის“ პირველი შეჯიბრება. ეს ის სერიალია, რომელშიც ოქროს ზოდებით არიგებენ ოთხივეს მოგებისათვის და მსოფლიო რეკორდების დამყარებისათვის. მსოფლიოს მოწინავე მძლეოსნებს 22 ივლისს უმასპინძლა ოსლოს ბიშლეტის სტადიონმა, რომელიც იმითაა ცნობილი, რომ იქ წლევანდლამდე მსოფლიო რეკორდი 59-ჯერ დაუმყარებიათ.

მე-60 რეკორდი დაამყარა კენელმა სტაიერმა ვილიამ სიგეიმ (ფოტოზე), ვინაც 10 000 მეტრის გარბენას 26.52,23 მოანდომა. ეს შედეგი 6 წამითა სჯობს სიგეის თანგუნდელის — იობეს ონდიეკის მანამდელ რეკორდს, რომელიც იქვე, მარშან იყო დამყარებული.

სიგეის ძვირად დაუჯდა ოსლოში ასპარეზობა. მას გაუცდა ეროვნული შესარჩევი შეჯიბრება, რასთვისაც კენიელებმა არ შეიყვანეს გუნდში, რომელმაც ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებზე კანადის ქალაქ ვიქტორიაში უნდა იასპარეზოს. ეს თამაშები ფაქტიურად ინგლისურენოვანი სამყაროს (აშშ-ის გამოკლებით) შინური ოლიმპიადაა და დიდი პატივითაც სარგებლობს.

სიგეის ხვედრს გაიზიარებს მოუხეს კაპტანიც, ვინაც სანქტ-პეტერბურგში კეთილი ნების მესამე თამაშებზე ძლიერ პირქარში 5 000 მეტრზე ათი წამით გაუსწრო თანამემამულე პოლ ბიტოკს. იქვე ალჟირელმა ნურადინ მორსელიმ 1 500 მეტრი 3.48,67 გაირბინა, მაგრამ მსოფლიო რეკორდს რომ ვერ შესწვდა, უფულადპრიზოდ დარჩა. ამერიკელი მაიკ პაველი ბოლო ცდით სიერძივ 845 სანტიმეტრზე გადახტა, ჯეკი ჯოინერ-კერზის კი ასთმამ შეუტია და ტურნირს გამოაკლო.

თამაშები პრეზიდენტმა ელცინმა 22 ივლისსვე რიხიანად გახსნა. ღონისძიებათა პროგრამაში, რომელიც 16 დღეზეა გაწყვლილი, სპორტის 24 სახეობაა. ორგანიზატორები მსოფლიოსათვის ახალი რუსეთის სახის ჩვენებას აპირებენ, მაგრამ თავიდანვე მარცხი შეემთხვათ: საცურაო აუზის განახლება დროულად ვერ დასრულეს, რის გამოც შეჯიბრების დაწყება ერთი დღით დაგვიანდა. ამის შემდეგაც აუზში წყალი მუქი მწვანე იყო, რაც მარჯვედ გამოიყენეს შეჯდომა და დიდი აურზაურით მიატოვეს შეჯიბრება.

იხტიბარი არ გაუტეხია ორგანიზატორთა მამას ჯეკ კელის, რომელიც ჯიუტად უმტკიცებდა სკანდალებს დაბარებულ მედიას, თამაშები ჭეშმარიტად მსოფლიო დონის ღონისძიებაა. ამაში მედიამ ეჭვი იმიტომ შეიტანა, რომ მსოფლიო ფორუმებზე თურმე არც ფული რიგდება ჯიოდოდ და არც იმ ჯურის დაჭარავებული მორბენლები მონაწილეობენ, გრძელ მანძილებზე ასპარეზობისას თავიდანვე ანგარიშმიუცემლად წინ რომ გაიჭრებიან, მერე კი ვალმობდილები ენგადმოგდებულნი მიატოვებენ დისტანციას — თუკი ძლიერებს აიყოლიებენ და მათ რეკორდის დამყარებაში შეეშველებიან, საქმე გაეთუბულად ჩაეთვლებათ.

თუმცა ისევ ბიშლეტის თამაშებს დაუბრუნდეთ. ვაკთა 100 მეტრზე რბენაში არ მონაწილეობდნენ მსოფლიოს ახალი [illegible] კორდსმენი ამერიკელი ბარელი და მსო[illegible] ლაოს ჩემპიონი ბრიტანელი კრის[illegible] [illegible]ც კუნთი დასჭიმოდა. ქროდ ხა[illegible] [illegible]ერგქარი. ამერიკელმა დენის მის�sა 9,94 აჩვენა და უკან მოიტოვა თანამემამულე დრამონდი, ნიგერიელი აღენაიკინი და ნამიბიელი ფრედრიქსი.

ირლანდიელი სონია ოსალივანისთვის ერთობ ურგია სიგეის მხარდამხარ ვარჯიშს. მძლეოსნობის ისტორიაში მეოთხე შედეგით 4.17,26 ირლანდიელმა ქალმა ერთ მილზე რბენაში გაიმარჯვა. სეზონის საუკეთესო შედეგით (სსშ) 1.43,29 800 მეტრზე იმარჯვა კენიელმა ვილსონ კიპკეტურამ, ამერიკელმა ქალმა გვენ ტორენსმა კი 200 მეტრზე ასევე სსშ აჩვენა 21,94. თამაშების უმთავრესი ნომერი, ე.წ. საოცნებო მილი მრიგო 20 წლის ბურუნდელმა ვენდი ნანგბომ 3.48,95, რითაც მილზე მორბენლთა ყველა დროის ათეულში შეაღწია.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲯᲘᲭᲘᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲔᲭᲡᲞᲐᲜᲡᲘᲐ

ამ სამი წლის წინ ამერიკული ბურთაობის ეროვნულმა ლიგამ (ნᲬᲚ) ერთხელ უკვე სცადა ევროპაში შეჭრა და იქ წამოიწყო ე.წ. მსოფლიო ლიგის გათამაშება, რომელშიც ევროპისა და ჩრდილოეთი ამერიკის ხუთ-ხუთი გუნდი ჩაება. მაშინ გაიმარჯვეს ლონდონელმა „მონარქებმა“, ვინაც ფინალში „უემბლიზე“ ბარსელონელი „ურჩხულები“ გაანადგურეს.

ერთი წლის შემდეგ ამერიკელთა წამოწყება გაკოტრდა იმის გამო, რომ თავიანთივე მაყურებელი ვერ დაიინტერესეს. ამიტომაა, რომ გაისიდან, როცა ლიგა აღორძინდება, მასში ოდენ ევროპის გუნდები იკენებიან: ნაცად ლონდონს, ბარსელონასა და ფრანკფურტს დაემატებიან ამსტერდამი, დიუსელდორფი და ედინბურგი. ერთი სიტყვით, ინგლისური ფეხბურთის ტაძრის — „უემბლის“ შებილწვის შემდეგ ამერიკული ცხაურას მიმდევრები ახლა შოტლანდიური რაგბის მექის — მარიფილდის მოედანსაც უპირებენ შელახვას.

აღდგენილი ლიგის სეზონი 8 აპრილს დაიწყება და ათ კვირას გასტანს. მერე და მერე ორგანიზატორებს აზიელთა მიზიდვის იმედიცა ჰქონიათ.

20 ᲗᲕᲘᲗ!

ᲫᲣᲠᲪᲘᲙᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ

(X თამაში) მეორე ტესტი. შაბ, 23.VII. ველინგტონი. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ 13 (10) (2ლ: თიმუ, ზ. ბრუქი; ს: პოვარდი) — ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ 9 (3ს: ვანრენსბერგი)

(XI) ოთხ, 27.VII. დანიდინი. ᲝᲢᲐᲒᲝ 19 (ლ: ლეზლი; გ, 4ს: ჯეფ ვილსონი) — ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ 12 (2ლ: ი. ვანდერვესტპოიზენი, ჰ. ლერუ; გ ჰ. ლერუ)

(XII) შაბ, 30.VII. ქრაისტჩერჩი. ᲥᲘᲜᲗᲔᲠᲑᲘ 11 (ლ: მეიერპოფერი; 2ს: მარტენსი) — ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ 21 (2ლ: მულდერი; გ, 3ს: ჟუბერი)

(XIII) სამ, 2.VIII. როტორუა. ᲡᲘᲣᲮᲕᲘᲡ ᲧᲣᲠᲔ — ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ

(XIV, ბოლო თამაში) მესამე ტესტი. შაბ, 6.VIII. ოკლენდი

ᲠᲐᲜᲗᲘᲠᲚᲘᲡ ᲤᲐᲠᲘ

შაბ, 30.VII. პამილტონი (ახალი ზელანდია). ᲕᲐᲘᲙᲐᲢᲝ (მულობელი) 98 (15ლ) — ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲥᲘᲜᲗᲔᲠᲑᲘ 22

ᲥᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

23.VII: ტრანსვაალი 28 (16) — აღმოსავლეთი კონცხი 30 (19); ნარინჯი 34 — ჩრდილოეთი ტრანსვაალი 27; ნატალი 19 (13) — დასავლეთი კონცხი 18 (15)

პირველი წრის შემდეგ: ნარინჯი — 8 ქულა; ნატალი და აღმ. კონცხი — 6-ნ; ჩრდ. ტრანსვაალი და ტრანსვაალი — 4-4; დას. კონცხი — 2

ᲚᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

მეოთხედფინალი. 25.VI. ნატალი 18 — დას. კონცხი 23; ნარინჯი 55 — ბოლანდი 21; კონცხის საზღვარი 17 — ტრანსვაალი 46; აღმ. კონცხი 33 — ჩრდ. ტრანსვაალი 17

ნახევარფინალი. შაბ, 30.VII: დას. კონცხი 40 (5ლ) — ნარინჯი 31 (2ლ); ტრანსვაალი 36 (6) (3ლ) — აღმ. კონცხი 12 (9)

ᲛᲐᲜᲣ ᲡᲐᲛᲝᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲨᲘ

(I) შაბ, 23.VII. ᲛᲔᲚᲑᲣᲠᲜᲘ, ოლიმპიური სტადიონი. ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐ 26 — ᲡᲐᲛᲝᲐ 60 (9ლ)

(II) ოთხ, 27.VII. კანბერა. ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ 13 — ᲡᲐᲛᲝᲐ 39 (3ლ; 3გ, 5ს, ა — №10 კელეტი)

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲔᲭᲡᲞᲐᲜᲡᲘᲐ

ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲧᲝᲩᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ველოსიპედი

ინდურაინის მეოთხე ტრიუმფი

ესპანელმა მიგელ ინდურაინმა, რომელიც „ბანესტოს“ გუნდის წევრია, არზეინად მოიგო წლევანდელი საფრანგეთის ტური. ინდურაინმა ზედიზედ მეოთხედ გაიმარჯვა და ამ მაჩვენებლით გაუსწორდა ფრანგ ჟაკ ანკეტილსა და ბელგიელ ედი მერქსს.

ტურის ბოლო კვირის დაწყებისას ესპანელი მრბოლი თითქმის 8 წუთს უგებდა მდევრებს. საბოლოოდ ეს სხვაობა ცოტათი შემცირდა. ორშაბათის, 18 ივლისის XV ეტაპზე, რომლის სიგრძე 231 კილომეტრი იყო, თავი გაიგიჟა იტალიელმა ფილიმ, რომელიც ლიდერთან თითქმის საათნახევარს აგებდა, და ეულად გაიმარჯვა. XVI ეტაპზე, რომელიც ალდუეში მთავრდება, ტრადიციულად ჰოლანდიელები იმარჯვებენ. ამჯერად ნავსი გატყდა: მეტოქენი ორ წუთზე მეტით ჩამოიტოვა იტალიელმა კონტიმ, რომელიც ფინიშთან მთაზე მარტო აიჭრა. ფრანგმა ვერონკმა ლიდერს სხვაობა 7.21-მდე შეუმცირა. შემდეგი ეტაპი უმაღლეს სამთო კურორტ ვალტორში დაბოლოვდა. ინდურაინი ფინიშთან მეხუთე იყო, მაგრამ სხვაობა შეინარჩუნა. ეტაპი მოიგო კოლუმბიელმა როდრიგესმა, რომელსაც სამი წამით ჩამორჩა ლატვიელი პიატრას უგრუმოვსი. მომდევნო ორი ეტაპი ამ უგრუმოვსისა გამოდგა: ხუთშაბათს 2.39-ით მოიტოვა მდევრები, პარასკევს კი ალპურ დაბა კლუზში 47-კილომეტრიანი სიმარდის სინჯში გაიმარჯვა და ჯამში მეორე ადგილზე გადავიდა — ინდურაინთან 5.39 აგებდა. მესამე ადგილზე პანტონი იყო, მეოთხეზე — ლებლონი, მეხუთეზე — ვერონკი. ბოლო ორ დღეს აღარაფერი შეუცვლია. XX ეტაპი დინჯად წარიმართა, მაგრამ ლიანგური სპრინტით კი დასრულდა. აქაც ექს-საბჭოელმა — უზბეკმა აბდუჯაფაროვმა გაიმარჯვა. ამის შემდეგ სულ მთლად ცხადი გახდა, რომ თუ ინდურაინს ბოლო ეტაპზე რამე ტრაგედია არ შეემთხვეოდა, პირველობას ვერავინ შეეცილებოდა. მართლაც, 24 ივლისს, კვირა დღეს, 165-კილომეტრიან ბოლო ეტაპზე, ევრო-დისნეის პარკიდან პარიზის ელისეს მინდვრებამდე ლიდერი ჯგროში ჩადგა და პედლებს მშვიდად ატრიალებდა. ფინიშთან ხუთკაციანი გუნდი წინ გაიჭრა. გაიმარჯვა ფრანგმა სენიერმა, 189 მონაწილიდან კი ტური მხოლოდ 117-მა დაასრულა.

ᲞᲠᲘᲖᲘ

მას შემდეგ, რაც ამერიკელ მძიმეწონიანი ექს-ჩემპიონ მაიკ ტაისონს ციხიდან ვადამდე გამოსაშვებად მორიგი აპელაციაც ჩაუფლავდა, ეტყობა, ჭკუა იხმარა და მსაჯულ ქალს წერილობით მოუბოდიშა, აქაო და სარჩელის განხილვისას მთლად ისე ვერ მოვიქეცი, ზრდილ კაცს რომ ეკადრება. ამისდა მიუხედავად მოკრივე თურმე მაინც უარზეა, სილამაზის კონკურსის მონაწილე დეზირი ვაშინგტონი არ გამიუპატიურებია — ყველაფერი სახელის მოსახვეჭად თავადვე გამოიგონაო. საქმე ასეა: თუ ტაისონის ვექილები მის უდანაშაულობას დაამტკიცებენ, მაიკი გაისად თებერვალში ციხიდან გამოვა.

ივლისის დამდეგს ცალი ფეხი სამარეში ედგა თავის დროზე ტაისონის უეცრად მძლეველ ჯეიმზ ბასტერ დაგლასს. ეს მოკრივე თურმე არასოდეს შეუწუხებია დიაბეტს, მაგრამ ახლა სისხლში შაქრის შემცველობა მოულოდნელად ათჯერ მოემატა და კომაში აღმოჩნდა. დაგლასი ოჰაიოს შტატის საავადმყოფოში გააქანეს და სიკვდილს ხელიდან გამოსტაცეს.

გამოცხადდა, რომ კრივის მსოფლიო საბჭოს ჩემპიონი, ბრიტანელი ლენოქს ლუისი ტიტულს 24 სექტემბერს „უემბლიზე“ დაიცავს ოლივერ მაკოლთან შერკინებაში, ასოციაციისა და ფედერაციის საზიარო ჩემპიონ მაიკლ მორერს კი 5 ნოემბერს ლას-ვეგასში ემუშტკრივება მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, 45 წლის ჯორჯ ფორმენი, ვინაც 1970-იან წლებში ტიტული ზაირის დედაქალაქ კინშასაში თვით მუჰამედ ალისთან წააგო.

25 წლისა დაიღუპა ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონი, კუბელი რობერტო ბალადო, რომელიც ვარჯიშიდან რომ ბრუნდებოდა, მანქანით მატარებელს დაეჯახა.

ᲐᲥᲔᲗᲣᲠᲘ, ᲘᲥᲘᲗᲣᲠᲘ

მაიკ ჭინანმა, ვინაც 64 წლის შეადგენ ბოლოსდაბოლოს მოაგებინა ჰოკეის ეროვნული ლიგის უმთავრესი ჯილდო — სტენლის თასი ჩიკაგო-ორკ. რეინჯერსს“, შეიერებული პრემიის დაგვიანების გამო ლაბი მიატოვა და წვრილად თვითნებურად გადაიდო „ატლანტიკის ბლუზში“. საქმეში ლიგის უფროსობა და სასამართლო ჩაერიენენ. საბოლოოდ ჭინანი გამტყუნდა და 100 ათასი დოლარი ჯარიმის გადახდა მოუწევს. დასაჯა „სენტ-ლუისიც“ — ლტოლვილის შეფარებისთვის 250 ათასი დოლარი უნდა გადაიხადოს.

*

ავსტრალიის პრემიერმა პოლ კიტინგმა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ურჩია თავი შეიკავოს ვიქტორიის შტატის პრემიერის — ჯეფ კენეტის მიერ წამოჭრილი საკითხის განხილვისაგან. ვიქტორია ადანაშაულებს მეზობელ ახალ სამხრეთ უელსს, აქაოდა 1996 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველ ქალაქთა კონკურსი რომ მიმდინარეობდა, ჩვენმა მოშურნე სიდნეელმა მეზობლებმა ჩვენსავე უმთავრეს მოცილეს — აშშ-ის ქალაქ ატლანტას მუშა ჯგუფსა და სოკ-ის წევრებს ბარემ 40-ჯერ დაურეკეს ტელეფონით და ჩვენი განაცხადის ხუსტი ადგილები ჩაუკაკლეს, რის გამოც მელბურნმა შეჯიბრება წააგო. არადა, მელბურნს 1996 წლის თამაშები რომ რგებოდა, ახალი სამხრეთი უელსის დედაქალაქ სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადას აღარავინ ჩაბარებდა.

*

ამერიკელ ფიგურისტ ქალ ნენსი კერიგანზე თავდასხმის მომწყობი ტანია ჰარდინგის ქმარყოფილ ჯეფ გელულის, ვინაც ცოლყოფილის მთავარ კონკურენტს მუხლში კეტი დაჭკრა, სასამართლომ ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

*

პროგნოზების საწინააღმდეგოდ სარბიელს უბრუნდება 34 წლის ამერიკელი მეგოლფე პოლ ეიზინგერი, ვინაც შარშან ოთხი უმთავრესიდან ბოლო — ამერიკის პროფესიონალ მეგოლფეთა ასოციაციის პირველობა მოიგო, მაგრამ წლევანდელი სეზონის პირველი ნახევარი ბეჭის კიბოს წამლობას მოახმარა და საგოლფოდ ვერ მოიცალა. ეიზინგერი მიჩიგანის შტატში „ბიუიკის“ ღია პირველობაში ჩაებმება, 11 აგვისტოს კი ასოციაციის პირველობაც იწყება. როგორც სპორტსმენი ირწმუნება, გამოჯანმრთელებაში დიდად დახმარებია როგორც კოლეგების, ასევე რიგითი გულშემატკივრების თანადგომა: ესენი თურმე ყოველ კვირაში 500 წერილს სწერდნენ, დროზე დაგვიბრუნდიო!

*

დუბლინის უნივერსიტეტის მოედნებზე 13-24 ივლისს გამართული ბალახის ჰოკეის ქალთა მსოფლიო პირველობა მოიგო ავსტრალიამ, რომელმაც ფინალში ოდენ 6500 მაყურებლის თვალწინ 2:0 აჯობა არგენტინას. ავსტრალიელებმა, ვინაც ჩემპიონობა პირველად მოიხვეჭეს, ტურნირში ერთადერთი მარცხი იწვნიეს — ჯგუფური ტურნირების პირველსავე დღეს, 1:2, რუსეთთან, რომელიც საბოლოოდ ბოლო, მე-12 ადგილზე დარჩა. სხვა ადგილები ასე განაწილდა: 3. გერმანია, 4. აშშ; 5. კორეა, 6. ჰოლანდია (ექს-ჩემპიონი), 7. ჩინეთი, 8. ესპანეთი (ოლიმპიური ჩემპიონი); 9. კანადა ? დიდი ბრიტანეთი, 11. ირლანდია. კაცთა მსოფლიო პირველობაც წელს, 23 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე სიდნეიში გაიმართება.

*

ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, 27 წლის უნგრელმა კომპლექსური სტილით მოცურავემ — ტამაშ დარნიმ პარასკევს განაცხადა, რომ დიდი სპორტიდან უძლეველად გადაუწყვეტია წასვლა, რის გამოც აღარ იასპარეზებს მსოფლიო პირველობაზე, რომელიც 1-11 სექტემბერს რომში გაიმართება.

*

წინა კვირაში გუდვუდში ცხენიდან გადავარდა და მსუბუქად დაშავდა გამოჩენილი ინგლისელი მხედარი, 58 წლის ლესტერ პიგოტი.

ᲐᲥᲔᲗᲣᲠᲘ, ᲘᲥᲘᲗᲣᲠᲘ

ᲙᲠᲘᲙᲔᲢᲘ

ᲑᲣᲠᲗᲘ ᲒᲐᲐᲞᲠᲘᲐᲚᲐ

29 წლის შემდეგ სამხრეთამერიკელი მოკრიკეტეები, აწ უკვე „პროთეებად“ მონათლულები, ინგლისში მოგზაურობენ. პირველი ტესტი ბრიტანელი კრიკეტის ბიბანზე — ლონდონის „ლორდსის“ სტადიონზე გაიმართა და 28 ათასი მოსეირეც მიიზიდა. მათ შორის იყვნენ ჯონ მეიჯორი და მანდელას პირველი მოადგილე ტაბო ბეკი. თავად ბელადს თვალი საპერაციოდ ეხლიმია და ესოდენ მნიშვნელოვან ღონისძიებას ამიტომაც გამოჰკლებია. სამაგიეროდ, ტრიბუნაზე ბრძანდებოდა ექსცენტრიკოსი არქიეპისკოპოსი დეზმონდ ტუტუ, რომელიც იქადნებოდა, ჩვენი ბიჭები პირველივე შესვლაში 400 გარბენს გაჩალიჩებენო.

„პროთეებმა“ მართლაც ძლიერად ითამაშეს და ინგლისს ვადამდე, ოთხ დღეში მოუგეს 356 გარბენით. ანგარიში ასეთია: სამხრეთი აფრიკა 357 და 278 (8 ბეჭე) — ინგლისი 180 და 99. მაგრამ სტუმართა გამარჯვება ერთგვარად დაჩრდილა ორმა ინციდენტმა: ჯერ მასპინძელთა დიდმოხელეებმა სტუმრებს მიუთითეს, პავილიონიდან თქვენი ქვეყნის დროშას რად აფრიალებთო, მატჩის მესამე დღეს კი ინგლისელთა კაპიტანი მაიკ ატერტონი ლაბის იყო სპორტულ ყალთაბანდობაში ამხილეს. ტელეეკრანებზე ცხადად გამოჩნდა, თუ როგორ ჩაიყო კაპიტანმა ხელები ჯიბეში, მერე კი იმავე ხელით ბურთი გაპრიალა და მტყორცნელს გადაუგდო. ატყდა ერთი ვაი-უშველებელი, რაკიღა ბურთის გარსის რაგინდარა ხერხით ხელყოფა კრიკეტში არაკაცობად ითვლება, თუმცაკი ცნობილი შოთამაშეები ამგვარ ცოდვას ხშირად სჩადიან. ატერტონი მსაჯულმა პიტერ ბერჯმა იმავე საღამოს დაიბარა და ჩვენება ჩამოართვა. მერე კაპიტანმა ორი პრეს-კონფერენციაც გამართა, მაგრამ სამივე შემთხვევაში თავისი ქმედების სულ სხვადასხვა ვერსია წარადგინა, რისთვისაც ინგლისის კრიკეტის მმართველობა ორი ათასი ვირუანქრის დააჯარიმეს, მაგრამ კაპიტნობიდან არ გადაუყენებიათ, რაკიღა შემცვლელი ვერავინ ეგულებათ.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲜᲘᲜᲝ ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲠᲐᲜᲓᲔᲑᲡ ᲓᲐᲔᲠᲘᲐ

გვასახელა ქართული ჩოგბურთის დიდმა იმედმა, 17 წლის ნინო ლუარსაბიშვილმა. 24 ივლისს დასრულებულ კვირაში ნინომ ფურორი მოახდინა ნიუ-ჯერსის შტატში გამართულ მაუას ტურნირში, სადაც ნახევარფინალში გაღწია.

მსოფლიო კლასიფიკაციაში 265-ე ადგილზე მყოფმა ნინომ ჯერ 2:6, 7:6, 6:2 დაამარცხა იანა ნოვოტნა, მეოთხედფინალში კი მერვე ნომრად განთესილ გერმანელ მარკიტა კონტას 6:7, 6:3, 6:1 მოუგო. ქართველი ჩოგბურთელის წინსვლა შეაჩერა ამერიკელმა ლიზა რეიმანდმა 6:2, 6:3, მაგრამ ამან მერე ფინალი წაგო შტეფი გრაფთან 6:4, 4:6, 1:6, ვინაც მანამდე წვიმის გამო ერთ დღეში სძლია ჯერ პეტ შრაიეერს, მერე კი მანუელა მალე